საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
№ 32371
30 04 2012
10
01-4

# საქართველოს მთავრობის

# განკარგულება

№762 2012 წლის 24 აპრილი ქ. თბილისი

**ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის 2012-2015 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ**

1. დამტკიცდეს თანდართული „ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის 2012-2015 წლების სამოქმედო გეგმა" (შემდგომში – სამოქმედო გეგმა).

2. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების ეფექტიანად გატარების მიზნით შეიქმნას საკოორდინაციო საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

| | |
|---|---|
| საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი – | საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე |
| საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელი – | საკოორდინაციო საბჭოს წევრი |
| საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი – | საკოორდინაციო საბჭოს წევრი |
| საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი – | საკოორდინაციო საბჭოს წევრი |

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი – საკოორდინაციო საბჭოს წევრი

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს წარმომადგენელი – საკოორდინაციო საბჭოს წევრი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელი – საკოორდინაციო საბჭოს წევრი

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი – საკოორდინაციო საბჭოს წევრი.

3. საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში მონაწილეობა ეთხოვოს ქ. თბილისის მერიას.

4. საკოორდინაციო საბჭომ უზრუნველყოს:

ა) ამ განკარგულების გამოცემიდან ერთი თვის ვადაში პირველი სხდომის ჩატარება;

ბ) საქართველოს მთავრობისათვის ყოველწლიური ანგარიშის წარმოდგენა.

5. საკოორდინაციო საბჭოს ორგანიზაციულ-ტექნიკური მხარდაჭერა განახორციელოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ.

პრემიერ-მინისტრი ნ. გილაური

საქართველოს მთავრობის
2012 წლის 24 აპრილის
№762 განკარგულების
დანართი

# ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის 2012-2015 წლების სამოქმედო გეგმა

მიზანი: საქართველოში მცხოვრები ყველა ბავშვი დაცული იყოს ძალადობისა და უგულებელყოფისაგან და ჰქონდეს ინდივიდუალური და პოზიტიური ფსიქოსოციალური განვითარების შესაძლებლობა ოჯახში ან ოჯახთან მიახლოებულ გარემოში.

| ამოცანები | ღონისძიებები | შესრულების ვადა | პასუხისმგებელი უწყება | დაფინანსების წყარო | შესრულების ინდიკატორი | მოსალოდნელი შედეგები |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიმართულება 1. ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერა და ბავშვთა მიტოვების პრევენცია | | | | | | |
| ოჯახებისთვის ბავშვზე ზრუნვაში ხელშეწყობა მიზნობრივი ტრანსფერების, არაფულადი დახმარებების და მომსახურებების ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით | 1.1. ოჯახების საჭიროებათა შეფასებისას ბავშვზე ზრუნვის საჭიროებების უკეთ ასახვა | 2012-2013 | შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში – შჯსდს) | დონორი | სოციალური დახმარების მიმღები ბავშვიანი ოჯახების რაოდენობა | გაუმჯობესებულია სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ბავშვიანი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა |
| | 1.2. ჯანმრთელობის სახელმწიფო დაზღვევის მიმღები ბავშვების რაოდენობის გაზრდა | 2012-2015 | შჯსდს | სახელმწიფო ბიუჯეტი | ჯანდაცვის სახელმწიფო დაზღვევის მიმღებ ბავშვთა რაოდენობა | შემცირებულია ბავშვთა სიკვდილიანობის და ავადობის მაჩვენებელი; შემცირებულია ბავშვიანი ოჯახების სამედიცინო დანახარჯები |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 1.3. სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ბავშვების, სკოლა-პანსიონების მოსწავლეების, მინდობით აღზრდასა და სააღმზრდელო დაწესებულებებში მყოფი ბავშვების უზრუნველყოფა არაფულადი დახმარებებით (უფასო სასკოლო წიგნები, კვების ვაუჩერები 1 წლამდე ბავშვებისათვის და ა.შ.) | 2012-2015 | განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (შემდგომში – გმს), მჯსდს | სახელმწიფო ბიუჯეტი | არაფულადი დახმარების მიმღებ ბავშვთა რაოდენობა | გაზრდილია არაფულადი სოციალური დახმარების მიმღებ ბავშვთა რაოდენობა; სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ ოჯახებს შეუმცირდათ ბავშვის მოვლასთან დაკავშირებული ხარჯები |
| | 1.4. მუნიციპალიტეტებს შორის საბავშვო ბაღების მომსახურებით სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ბავშვების მოცვის საუკეთესო გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობა | 2012-2015 | ადგილობრივი მუნიციპალიტეტი | ადგილობრივი ბიუჯეტი, დონორი | მუნიციპალიტეტების რაოდენობა, რომლებსაც სპეციალური შეღავათები აქვთ დაწესებული სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ბავშვებისათვის | საბავშვო ბაღებში გაზრდილია სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ბავშვების რაოდენობა |
| | 1.4.1. ჩვილ ბავშვთა მიტოვების პრევენციის მიზნით ბაგა-ბაღის მომსახურების განვითარების ხელშეწყობა | 2012-2013 | თბილისის მერია, დონორი | ადგილობრივი ბიუჯეტი, დონორი | პრევენციის შემთხვევების რაოდენობა | თბილისში შექმნილია სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ბაგა-ბაღის მომსახურება; სხვა მუნიციპალიტეტებში შექმნილია წინაპირობა ანალოგიური მომსახურების განვითარებისათვის |
| | 1.5. დღის ცენტრებში საპირწე ჯგუფების | 2012-2015 | მჯსდს | სახელმწიფო ბიუჯეტი | დღის ცენტრების მომსახურების | გაზრდილია დღის ცენტრებში ჩარიცხული |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ბავშვების (სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი, ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებული, მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი) რაოდენობის ეტაპობრივი ზრდა | | | | მიმღები ბავშვების რაოდენობა | ბავშვების რაოდენობა; შემცირებულია ბავშვების მიტოვების შემთხვევები |
| | 1.6. ბავშვებისა და მოზარდებისთვის საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროგრამების განხორციელება | 2012-2015 | გმს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო (შემდგომში – სასს) | სახელმწიფო ბიუჯეტი | პროგრამებში მონაწილე მოწყვლადი ჯგუფების ბავშვების რაოდენობა | გაზრდილია პროგრამებში მონაწილე მოწყვლადი ჯგუფების ბავშვების რაოდენობა |
| | 1.7. შშმ ბავშვთა ფიზიკური და ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა | 2012-2015 | შჯსდს, გმს | სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი | საჭიროების მქონე შშმ ბავშვთა %, რომლებიც იღებენ შესაბამის სარეაბილიტაციო მომსახურებას;<br><br>შშმ ბავშვთა %, რომლებიც სწავლობენ არასპეციალიზებულ სკოლაში | შშმ ბავშვები უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი ფიზიკური და ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის მომსახურებით;<br><br>გაზრდილია არასპეციალიზებულ სკოლებში შშმ ბავშვთა ჩარიცხვის მაჩვენებელი |
| | 1.7.1. შშმ ბავშვთა განვითარების ხელშეწყობის მიზნით ჩვილობაში ან ადრეულ ასაკში მინდობით აღმზრდელ ოჯახში მათი განთავსება ჯანმრთელობის მდგომარეობის | 2012-2015 | შჯსდს | სახელმწიფო ბიუჯეტი | მინდობით ოჯახში ადრეულ ასაკში განთავსებული ბავშვების რაოდენობა | შემცირებულია შშმ ბავშვთა ინსტიტუციონალიზაცია და გაზრდილია იმ ბავშვების რაოდენობა, რომლებიც მათთვის აუცილებელ მომსახურებას იღებენ ადრეულ ასაკში |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მიხედვით და მათი უზრუნველყოფა სარეაბილიტაციო მომსახურებით, დამხმარე საშუალებებით და დასვენება გაჯანსაღების პროგრამით | | | | | |
| | 1.7.2. განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებისათვის (მათ შორის, შშმ ბავშვები) ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო სივრცის შექმნა ინკლუზიური განათლების განვითარების გზით | 2012-2015 | გმს | სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი | სკოლების რაოდენობა, რომლებიც ადაპტირებულია შშმ ბავშვთა საჭიროებებზე;<br><br>მასწავლებელთა რაოდენობა, რომელთაც გაიარეს გადამზადება ინკლუზიური განათლების საკითხებში | გაზრდილია სკოლების რაოდენობა, რომლებიც ადაპტირებულია შშმ ბავშვთა საჭიროებებზე;<br><br>გაზრდილია მასწავლებელთა რაოდენობა, რომლებსაც გააჩნიათ ინკლუზიური განათლებისათვის საჭირო კვალიფიკაცია |
| | 1.7.3. გონებრივი და ფიზიკური განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშემწყობი პროგრამების გაფართოება | 2012-2015 | შჯსდს | სახელმწიფო ბიუჯეტი | პროგრამის ბენეფიციარი ბავშვების რაოდენობა;<br><br>პროგრამის გეოგრაფიული მოცვა | გაზრდილია გონებრივი და ფიზიკური განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ადრეული განვითარების მომსახურების ხელმისაწვდომობა |
| | 1.7.4. შესაბამისი საჭიროებების მქონე ბავშვთა | 2012 | შჯსდს | სახელმწიფო ბიუჯეტი | პროგრამის ბენეფიციარი ბავშვების რაოდენობა; | გაზრდილია პროგრამაში მონაწილე ბავშვების რაოდენობა; |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ფსიქოსომატური აბილიტაციის პროგრამის დაფინანსების მოდელის დახვეწა | | | | დაფინანსების ახალი მოდელის დამტკიცება | დაფინანსების ახალი მოდელი ხელს უწყობს მომსახურების მიმწოდებელთა დივერსიფიცირებას და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას |
| მიმართულება 2. ბავშვთა დაცვა ძალადობისგან და უგულებელყოფისგან | | | | | | |
| ამოცანები | ღონისძიებები | შესრულე-ბის ვადა | პასუხისმგებელი უწყება | დაფინანსების წყარო | შესრულების ინდიკატორი | მოსალოდნელი შედეგები |
| ბავშვებზე ძალადობის და უგულებელყოფის შემთხვევების შემცირება და დროული იდენტიფიცი-რების და რეაგირების მექანიზმების გაძლიერება | 2.1. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ბავშვთა უფლებების და მათი დაცვის მექანიზმების შესახებ | 2012-2015 | შჯსდს | დონორი | ბავშვთა უფლებების შესახებ საზოგა-დოების ინფორმირე-ბულობის კვლევა | საზოგადოება უკეთ არის ინფორმირებული ბავშვის უფლებების და მათი დაცვის მექანიზმების შესახებ |
| | 2.1.1. ბავშვზე ძალადობის საწინააღმდეგო კამპანიის დაგეგმვა და განხორციელება (აღზრდის პოზიტიური მეთოდების პოპულარიზაციის ჩათვლით) | 2012-2015 | შჯსდს | დონორი | ტელევიზიით და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით ბავშვზე ძალადობის წინააღმდეგ მიმარ-თული სარეკლამო რგოლების გავრცელება;<br><br>საგანმანათლებლო და პირველადი ჯანდაცვის | ტელევიზიით და მასობ-რივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით სისტე-მატურად ხდება ბავშვთა უფლებების და მათი დაც-ვის მექანიზმების შესახებ ინფორმაციის გავრცელება;<br><br>საგანმანათლებლო და პირველადი ჯანდაცვის ცენტრებში სისტემატურად ტარდება საინფორმაციო კამპანიები |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ცენტრებში გამართული საინფორმაციო აქციების რაოდენობა | |
| | 2.1.2. საჯარო სკოლების სასწავლო პროგრამაში ბავშვთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საკითხის ასახვა | 2012 | გსს | სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი | საჯარო სკოლების სასწავლო პროგრა-მაში ბავშვთა მიმართ ძალადობის საკით-ხების ასახვა | საჯარო სკოლის მოსწავლეები ინფორმირებულნი არიან ბავშვთა უფლებების და მათი დაცვის მექანიზმების შესახებ |
| | 2.2. ბავშვთა დახმარების ცხელი ხაზის შესაძლებლობების გაზრდა | 2012 | მჯსდს | სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი | ცხელი ხაზით გაწეული კონსულტაციების რაოდენობა;<br><br>ცხელი ხაზის მეშვეობით გადამისამართებულ შემთხვევათა რაოდენობა | ძალადობის მსხვერპლი ბავშვები იღებენ შესაბამის კონსულტაციებს ცხელი ხაზის მეშვეობით;<br><br>ცხელი ხაზის მეშვეობით ხდება ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა გადამისამართება შესაბამის სამსახურებში |
| | 2.2.1. ძალადობის შეტყობინებებზე რეაგირების მექანიზმის დახვეწა | 2012-2015 | მჯსდს, გსს, შინაგან საქმეთა სამინისტრო (რეპდგომში – შსს) | სახელმწიფო ბიუჯეტი | ცხელი ხაზით მიღებულ ძალადობის შეტყობინებებზე დროული და ადეკვატური რეაგირების პროცენტული მაჩვენებელი | გაზრდილია ცხელი ხაზით მიღებულ ძალადობის შეტყობინებებზე რეაგირების მაჩვენებელი |
| | 2.3. სკოლებში ძალადობის შემთხვევების შემცირება | 2012-2015 | გსს | სახელმწიფო ბიუჯეტი | ყველა საჯარო სკოლაში მოქმედებს მანდატურის სამსახური | შემცირებულია სკოლაში ბავშვზე ძალადობის შემთხვევები |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მანდატურის სამსახურის შექმნის გზით | | | | | |
| | 2.4. არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის პრევენცია | 2012-2015 | იუსტიციის სამინისტრო (შემდგომში – ის), სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო (შემდგომში – სპილს), გმს, შსს, შჯსდს, სასს | სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი | საქართველოს პროკურატურის მიერ ორგანიზებულ პროექტში – საზოგადოებრივი პროკურატურის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებათა რაოდენობა;<br><br>პროექტში ჩართული რაიონული პროკურატურების რაოდენობა | შემცირებულია არასრულწლოვანთა მიერ სხვადასხვა სახის დანაშაულის ჩადენა |
| | 2.5. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რესოციალიზაცია და რეინტეგრაცია | 2012-2015 | ის, სპილს | სახელმწიფო ბიუჯეტი | არასრულწლოვანთა სულ მცირე 20%, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან მძიმე ან ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის, საქართველოს 4 ქალაქში (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი) განერიდნენ სისხლის სამართლის სისტემას | შემცირებულია არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის შემთხვევები; მართლმსაჯულებასთან კონფლიქტში მყოფი ყველა არასრულწლოვანისათვის შემუშავებულია სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმა |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 2.6. ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალთა (პოლიციელი, სოციალური მუშაკი, მასწავლებელი, მანდატური და სხვა) პროფესიული განათლება და კვალიფიკაციის ამაღლება ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე | 2012-2015 | შჯსდს, გშს, ის, შსს, სპიდს | სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი | პროფესიონალების რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს შესაბამისი გადამზადება, მათ შორის, პროკურორების და სტაჟიორ-პროკურორების რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს შესაბამისი გადამზადება | ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალები ახდენენ ბავშვზე ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირებას, უწევენ შესაბამის დახმარებას და ახდენენ მათ გადამისამართებას შესაბამის სამსახურებში |
| | 2.6.1. ბავშვზე ძალადობის შემთხვევის იდენტიფიცირების და რეაგირების გზამკვლევის შემუშავება | 2012-2013 | შჯსდს, შსს, გშს | დონორი | გზამკვლევის შემუშავება | ბავშვთან მომუშავე პროფესიონალები გზამკვლევის საშუალებით ახდენენ ძალადობის იდენტიფიცირებას და ახორციელებენ შესაბამის ღონისძიებებს |
| | 2.6.2. ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალთა საკვალიფიკაციო პროგრამებში ბავშვზე ძალადობის საკითხების ასახვა | 2012-2015 | შჯსდს, გშს, შსს, ის | სახელმწიფო ბიუჯეტი | ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალთა საკვალიფიკაციო პროგრამებში ბავშვზე ძალადობის საკითხების ასახვა, მათ შორის, ბავშვებთან მომუშავე ახლადდაყვანილი სტაჟიორ-პროკურორებისა და პროკურორების რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს გადამზადება და | ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალებს აქვთ ბავშვზე ძალადობის შემთხვევაზე რეაგირებისათვის საჭირო ცოდნა და უნარ-ჩვევები |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ტრენინგები ბავშვთა ძალადობის საკითხებზე | |
| | 2.7. ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა პირველადი დახმარების, საკონსულტაციო და სარეაბილიტაციო მომსახურებების ეტაპობრივი განვითარება | 2012-2015 | შჯსდს | სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი | პირველადი დახმარების, საკონსულტაციო და სარეაბილიტაციო მომსახურებების რაოდენობა | შესაბამისი სააგენტოს რეგიონულ ცენტრებში ფუნქციონირებს ძალადობის და უგულებელყოფის მსხვერპლთა საკონსულტაციო ცენტრები;<br><br>გაზრდილია პირველადი დახმარების, საკონსულტაციო და სარეაბილიტაციო მომსახურებების მიმღები ძალადობის მსხვერპლი ბავშვების რაოდენობა |
| | 2.8. მიუსაფარ (ე.წ. „ქუჩის") ბავშვთა რეაბილიტაციის და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა | 2012-2015 | შჯსდს | სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი | სხვადასხვა მომსახურებების მიმღები მიუსაფარი ბავშვების რაოდენობა | გაუმჯობესებულია მიუსაფარი ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობა და სკოლაში დასწრების მაჩვენებელი;<br><br>მიუსაფარ ბავშვთა რაოდენობა, რომლებიც ქუჩაში სისტემატურად აღარ იმყოფებიან |
| | 2.8.1. მიუსაფარ ბავშვთა მოძიების მობილური ჯგუფების შექმნა | 2012-2015 | შჯსდს | სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი | მობილური ჯგუფების მიერ მოძიებული მიუსაფარი ბავშვების რაოდენობა | გაზრდილია შესაბამის მომსახურებებში გადამისამართებული მიუსაფარი ბავშვების რაოდენობა |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 2.8.2. მიუსაფარ ბავშვთა კრიზისული ცენტრების ჩამოყალიბების ხელშეწყობა | 2012-2015 | შჯსდს | სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი | ქვეყნის მასშტაბით არსებული მიუსაფარ ბავშვთა კრიზისული ცენტრების რაოდენობა | გაზრდილია კრიზისული ცენტრების მომსახურების მიმღები ბავშვების რაოდენობა |
| | 2.8.3. მიუსაფარ ბავშვთა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით უზრუნველყოფა | 2012-2015 | შჯსდს, საჯარო რეესტრი, ის | სახელმწიფო ბიუჯეტი | მიუსაფარ ბავშვთა რაოდენობა, რომლებსაც აქვთ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები | მიუსაფარი ბავშვები უზრუნველყოფილნი არიან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით |

მიმართულება 3. სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი ბავშვების მაღალი ხარისხის ალტერნატიული მომსახურებით უზრუნველყოფა

| ამოცანები | ღონისძიებები | შესრულების ვადა | პასუხისმგებელი უწყება | დაფინანსების წყარო | შესრულების ინდიკატორი | მოსალოდნელი შედეგები |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის დასრულება და ალტერნატიული მომსახურების გაფართოება | 3.1. დიდი ზომის 24-საათიანი საალმზრდელო დაწესებულებების დახურვა | 2012-2014 | შჯსდს | სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი | 24-საათიანი საალმზრდელო დაწესებულებების დახურვა | დახურულია ყველა დიდი ზომის 24-საათიანი სახელმწიფო საალმზრდელო დაწესებულება;<br><br>შემცირებულია არასახელმწიფო 24-საათიანი საალმზრდელო დაწესებულებების რაოდენობა |
| | 3.1.1. სახელმწიფო ბავშვთა სახლების შეფასება და დახურვა | 2012-2013 | შჯსდს | სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი | ბავშვთა სახლების დახურვა | დახურულია ყველა სახელმწიფო ბავშვთა სახლი |
| | 3.1.2. ჩვილ ბავშვთა სახლების შეფასება და დახურვა | 2012-2013 | შჯსდს | სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი | ჩვილ ბავშვთა სახლების დახურვა | დახურულია ჩვილ ბავშვთა სახლები |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 3.1.3. შშმ ბავშვთა სახლების შეფასება და დახურვა | 2012-2013 | შჯსდს | სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი | შშმ ბავშვთა სახლების დახურვა | დახურულია შშმ ბავშვთა სახლები |
| | 3.1.4. სკოლა-პანსიონების გარდაქმნა ინკლუზიური განათლებისათვის მოსამზადებელ ცენტრებად | 2012-2015 | გმს | სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი | სკოლა-პანსიონების ფიზიკური გარემოს ადაპტაცია; სწავლების ახალი მეთოდების დანერგვა | სკოლა-პანსიონები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებს ამზადებენ ინკლუზიური განათლებისათვის |
| | 3.1.5. არასახელმწიფო ბავშვთა სახლების შეფასება და ოპტიმიზაცია | 2012-2015 | შჯსდს | დონორი | არასახელმწიფო ბავშვთა სახლების რაოდენობა | შემცირებულია არასახელმწიფო ბავშვთა სახლების რაოდენობა |
| | 3.2. 24-საათიან მომსახურებაში განთავსებული ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახებში რეინტეგრაციის მექანიზმების დახვეწა და განვითარება | 2012-2013 | შჯსდს | სახელმწიფო ბიუჯეტი | ბიოლოგიურ ოჯახში ბავშვების რეინტეგრაციის მაჩვენებელი | გაზრდილია ბიოლოგიურ ოჯახებში რეინტეგრირებული ბავშვების რაოდენობა |
| | 3.3. სახელმწიფო და არასახელმწიფო საალზრდელო დაწესებულებებში განთავსებული და სახელმწიფო მზრუნველობის სისტემაში მყოფი ბავშვების ალტერნატიული მომსახურებით (მინდობით აღზრდა, მცირე საოჯახო ტიპის სახლები) უზრუნველყოფა | 2012-2015 | შჯსდს | სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი | ზრუნვის ალტერნატიულ ფორმებში (მინდობით აღზრდა, მცირე საოჯახო ტიპის სახლები) განთავსებული ბავშვების რაოდენობა | 24-საათიანი სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი ყველა ბავშვი განთავსებულია სხვადასხვა ტიპის ალტერნატიულ მომსახურებაში |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 3.3.1. შშმ ბავშვთა მცირე საოჯახო ტიპის მომსახურების კონცეფციის შემუშავება | 2012 | შჯსდს | დონორი | მიღებულია კონცეფცია | კონცეფციის მიხედვით განსაზღვრულია შშმ ბავშვთა მცირე საოჯახო ტიპის მომსახურების ფორმა |
| | 3.3.2. მინდობით აღზრდის სხვადასხვა ფორმების განვითარება | 2012-2013 | შჯსდს | სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი | მინდობით აღმზრდელთა რაოდენობა | გაზრდილია მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვთა წილი სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფ ბავშვთა შორის |
| | 3.4. ბავშვთა გაშვილების ხელშეწყობა | 2012-2015 | შჯსდს | სახელმწიფო ბიუჯეტი | შვილად აყვანის მაჩვენებელი | გაზრდილია შესაბამისი სტატუსის მქონე ბავშვთა გაშვილების მაჩვენებელი |
| | 3.4.1. გასაშვილებე-ლის სტატუსის მინიჭების პროცედურების დახვეწა | 2012-2015 | შჯსდს | სახელმწიფო ბიუჯეტი | გაშვილების პროცედურის საშუალო ხანგრძლივობა | გაზრდილია გასაშვილებელის სტატუსის მქონე ბავშვების რაოდენობა |
| | 3.4.2. საქართველოს მოქალაქეების მიერ საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ბავშვების შვილად აყვანის ხელშეწყობა | 2012-2015 | შჯსდს | სახელმწიფო ბიუჯეტი | საზღვარგარეთის ქვეყნებიდან შვილად აყვანის საკანონმდებლო ბაზის და პროცედურების შემუშავება | საქართველოს მოქალაქეებს საშუალება აქვთ შვილად აიყვანონ ბავშვები საზღვარ-გარეთის ქვეყნებიდან |
| | 3.5. დედათა და ჩვილ ბავშვთა თავშესაფრების შესაძლებლობების გაზრდა | 2012-2015 | შჯსდს | სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი | თავშესაფრების ბენეფიციართა რაოდენობა | გაზრდილია თავშესაფრების ბენეფიციართა რაოდენობა |
| | 3.5.1. არსებული თავშესაფრების ფიზიკური რენოვაცია და გაფართოება | 2012-2013 | შჯსდს | სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი | თავშესაფრების ფიზიკური რენოვაცია | გაუმჯობესებულია თავშესაფრებში საცხოვრებელი პირობები |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 3.5.2. თავშესაფრების ბენეფიციარებისათვის დამატებითი მომსახურებების განვითარება | 2012-2015 | შჯსდს | სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი | დამატებითი მომსახურებების არსებობა | თავშესაფრის ბენეფიციარი დედები და ბავშვები იღებენ დამატებით მომსახურებებს |
| | 3.6. ზრუნვის სისტემაში მყოფი მოზარდების (ბავშვთა სახლები, მცირე საოჯახო ტიპის სახლები, მინდობით აღზრდა, სპეციალიზებული სკოლა-პანსიონები) დამოუკიდებელი ცხოვრების და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა | 2012-2015 | შჯსდს, გმს, სასს | სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი | დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების მქონე მოზარდთა რაოდენობა;<br><br>პროფესიული/უმაღლესი განათლების მიმღები მოზარდების რაოდენობა;<br><br>დასაქმებული მოზარდების რაოდენობა | ზრუნვის სისტემიდან გამავალი მოზარდები მზად არიან დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის |
| | 3.7. ბავშვთა პალიატიური და სპეციალიზებული ზრუნვის მომსახურების შექმნა | 2012-2015 | შჯსდს | დონორი | ბავშვთა პალიატიური და სპეციალიზებული ზრუნვის მომსახურების არსებობა | ტერმინალური დაავადებების მქონე ბავშვები იღებენ შესაბამის პალიატიურ და სპეციალიზებულ მომსახურებას |
| | | | | | | |

მიმართულება 4. სისტემური რეფორმები

| ამოცანები | ღონისძიებები | შესრულების ვადა | პასუხისმგებელი უწყება | დაფინანსების წყარო | შესრულების ინდიკატორი | მოსალოდნელი შედეგები |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 4.1. სოციალური მუშაკის ინსტიტუტის გაძლიერება | 2012-2015 | შჯსდს, გმს, სპიდს | სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი | სოციალური მუშაკების რეკომენდაციით მიღებული ადეკვატური გადაწყვეტილებების რაოდენობა | შესაბამისი საჭიროების მქონე ყველა ბავშვი იღებს სოციალური მუშაკის კვალიფიციურ მომსახურებას |
| | 4.1.1. სოციალური მუშაკების რაოდენობის გაზრდა | 2012-2015 | შჯსდს, სპიდს | სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი | სოციალური მუშაკების რაოდენობა | ქვეყნის მასშტაბით მოქმედებს 250 სოციალური მუშაკი |
| ბავშვთა დაცვის სისტემის შემადგენელი მექანიზმების დახვეწა და მათ შორის ურთიერთქმედების განმტკიცება | 4.1.2. სოციალური მუშაკების პროფესიული კვალიფიკაციის გაზრდა და უწყვეტი განათლების ფორმალიზება | 2012-2015 | შჯსდს, გმს, სპიდს | სახელმწიფო ბიუჯეტი | სოციალური მუშაკების რაოდენობა, რომლებმაც აიმაღლეს კვალიფიკაციის დონე | გაზრდილია სოციალური მუშაკების კვალიფიკაციის დონე |
| | 4.1.3. ზედამხედველობის მექანიზმის შემუშავება და მართვის მექანიზმის დახვეწა | 2012 | შჯსდს | სახელმწიფო ბიუჯეტი | ზედამხედველობის ფორმალური მექანიზმის დამტკიცება | ფორმალიზებულია სოციალური მუშაკების ზედამხედველობის მექანიზმი |
| | 4.1.4. სოციალური მუშაკების მიერ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტების, პროცედურების და გზამკვლევების დახვეწა | 2012-2013 | შჯსდს | სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი | ბავშვთა საჭიროების შეფასების განახლებული ინსტრუმენტის, პროცედურების და გზამკვლევის დანერგვა | გაუმჯობესებულია სოციალური მუშაკების მიერ შემთხვევების მართვა |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 4.1.5. სოციალური მუშაკის ოპტიმალური სამუშაო დატვირთვის განსაზღვრა | 2012 | შჯსდს | სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი | სოციალური მუშაკის ოპტიმალური სამუშაო დატვირთ-ვის კვლევა | სოციალური მუშაკების მიერ მართული შემთხვევების რაოდენობა მიახლოებულია ოპტიმალურთან |
| | 4.1.6. სხვადასხვა უწყებებში მომუშავე სოციალურ მუშაკთა თანამშრომლობის მექანიზმის ფორმალიზება და დახვეწა | 2012 | შჯსდს, ის, სპიდს | სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი | სხვადასხვა უწყებაში მომუშავე სოციალური მუშაკების მიერ ერთობლივად მართული შემთხვევების რაოდენობა | სხვადასხვა უწყებაში მომუშავე სოციალური მუშაკები რეგულარულად ცვლიან ინფორმაციას და თანამშრომლობენ კონკრეტული შემთხვევების მართვისას |
| | 4.2. ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის სისტემის გაძლიერება და დახვეწა | 2012-2015 | შჯსდს, განს, შსს, ის, სპიდს | სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი | მიმართვიანობის მაჩვენებელი | გაზრდილია მიმართვიანობის რაოდენობა |
| | 4.2.1. სხვადასხვა საჭიროების შემთხვევაში (მიტოვების პრევენცია, არასრულწლოვანთა დამნაშავეობა და ა.შ.) მიმართვიანობისათვის პასუხისმგებელი ორგანოებისა და პროფესიონალების იდენტიფიცირება; პროცედურების გაწერა და შემდგომი დახვეწა | 2012-2013 | შჯსდს, განს, შსს, ის | სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი | მიმართვიანობის მაჩვენებელი | მიმართვიანობისათვის პასუხისმგებელი პროფესიონალები წინასწარ განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად ახდენენ რეაგირებას ბავშვთან დაკავშირებული პრობლემის აღმოსაფხვრელად |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 4.3. სახელმწიფო მზრუნველობის სისტემაში შესვლის და გასვლის კონტროლის მექანიზმის დახვეწა | 2012-2015 | შჯსდს | სახელმწიფო ბიუჯეტი | სისტემაში შემსვლელ და გამსვლელ ბავშვთა რაოდენობა | შემცირებულია სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში შემსვლელ ბავშვთა რაოდენობა; გაზრდილია სისტემიდან ბავშვთა გასვლის მაჩვენებელი |
| | 4.4. ბავშვთა დაცვის საკანონმდებლო ბაზის დახვეწა | 2012-2015 | შჯსდს, გშს, ის, შსს | სახელმწიფო ბიუჯეტი | დამტკიცებული საკანონმდებლო აქტები | ბავშვთა დაცვის საკანონმდებლო ბაზა გაუმჯობესებულია და მოყვანილია შესაბამისობაში ბავშვის უფლებათა კონვენციასთან |
| | 4.5 ქვეყანაში არსებული ბავშვთა მომსახურებების ხარისხის კონტროლის მართვის გაუმჯობესება | 2012-2015 | შჯსდს | სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი | ბავშვთა მომსახურებების რაოდენობა, რომლებიც შეესაბამება შესაბამის სტანდარტებს | გაუმჯობესებულია ბავშვებისათვის მიწოდებული მომსახურებების ხარისხი |
| | 4.5.1. მომსახურებების ხარისხზე ზედამხედველობის სისტემის შემუშავება და დანერგვა | 2012-2014 | შჯსდს | სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი | ზედამხედველობის მექანიზმების დანერგვა | განსაზღვრულია მომსახურების ხარისხის შეფასების პროცედურები |
| | 4.5.2. მომსახურებების ხარისხის კონტროლისათვის პასუხისმგებელი უწყების შესაძლებლობების გაზრდა | 2012-2014 | შჯსდს | სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი | შესაბამისი სააგენტოს თანამშრომელთა რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს გადამზადება | შესაბამისი სააგენტო რეგულარულად ახდენს ბავშვებისათვის მიწოდებული მომსახურებების ხარისხის მონიტორინგს |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 4.5.3. ბავშვზე ზრუნვის ზოგადი სტანდარტების დახვეწა და ცალკეული მომსახურებების (პალიატიური, შშმ ბავშვთა მცირე ზომის საოჯახო სახლების მომსახურების) სტანდარტების შემუშავება | 2012-2013 | შჯსდს | სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი | ბავშვზე ზრუნვის არსებული სტანდარტების გადასინჯვა და განახლება ბავშვთა ახალი მომსახურებების სტანდარტების დამტკიცება | გაუმჯობესებულია ბავშვზე ზრუნვის არსებული სტანდარტები; დამტკიცებულია ბავშვთა ახალი მომსახურებების სტანდარტები |
| | 4.5.4. მინიმალური სტანდარტების შესახებ მომსახურების მიმწოდებელთა ინფორმირება | 2012-2013 | შჯსდს | სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი | მომსახურებების მიმწოდებელთათვის საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება | ბავშვებისათვის მომსახურების მიმწოდებელთა რაოდენობა, რომლებიც აკმაყოფილებენ შესაბამის სტანდარტებს |
| | 4.6. საინფორმაციო მართვის სისტემის გაუმჯობესება | 2012-2015 | შჯსდს | სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი | მონაცემთა ბაზების შექმნა და სისტემატური განახლება | ბავშვთა დაცვისა და ზრუნვისათვის პასუხისმგებელ უწყებებს გააჩნიათ შესაბამისი პროგრამების დაგეგმვისა და ინდივიდუალური შემთხვევების მართვისათვის საჭირო ინფორმაცია |
| | 4.6.1. სხვადასხვა სახის მომსახურების ბენეფიციართა მონაცემთა ბაზის შემუშავება | 2012-2013 | შჯსდს | სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი | ბენეფიციართა მონაცემთა ბაზის შექმნა | შემუშავებულია ბენეფიციართა მონაცემთა ბაზა და ხდება მისი პერიოდული განახლება |
| | 4.6.2. ქვეყანაში არსებული ბავშვთა მომსახურებების ბაზის | 2012-2015 | შჯსდს | სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი | მომსახურებების ბაზის შექმნა | შემუშავებულია ბავშვთა სხვადასხვა მომსახურებების ბაზა |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ფორმირება და სისტემური განახლება | | | | | |
| | 4.6.3. ბაზიდან ზოგიერთი ჩართული სხვადასხვა უწყებების მიერ ინფორმაციის გაცვლის პროცედურების გამარტივება ბაზებში არსებული მონაცემების კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვის გათვალისწინებით | 2013-2015 | შსს, გმს, მსს, ის, სპიდს | სახელმწიფო ბიუჯეტი | გამარტივებული პროცედურები ფორმალიზებულია | სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების ხელთ არსებული ინფორმაცია ბავშვის შესახებ ხელმისაწვდომია სხვა დაინტერესებული უწყების თანამშრომლებისათვის |
| | 4.6.4. სოციალური მუშაკების შეფასების ელექტრონული ფორმების პილოტირება და დანერგვა | 2012-2013 | შსს | სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი | შეფასების ელექტრონული ფორმების დანერგვა | სოციალური მუშაკები იყენებენ შეფასების ელექტრონულ ფორმებს და მათ მიერ შეგროვებული მონაცემები თავს იყრის მონაცემთა ერთიან ბაზაში |